ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 27-56

"30" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.mats№e.gov.ge, 19.07.2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობაზე ნაკლები დარჩება, ამასთანავე, აღნიშნული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის ჩამოყალიბება შეუძლებელია;

2. ამოღებულ იქნეს მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი.

3. მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განიხილება რიგგარეშედ."

4. მე-9 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ¹" ქვეპუნქტი:

„ბ¹) საკრებულოს წევრს რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორცილებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 950 ლარის ოდენობით თანახმად ფორმა №3-ისა.

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო საკითხების შესასწავლად გაწეული საქმიანობისა და საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრების

მიხედვით ადასტურებს საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების №4 ფორმას და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

5. განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ფორმას საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო წარუდგენს ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს №5 ფორმის თანახმად.“

5. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ეკავოს "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობა, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობისა.“

6. 47-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) წარმოადგენს საკრებულოს, კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;“

ბ) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) ახორციელებს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ფორმა №3

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

წარმოგიდგენთ ქ. თბილისის საკრებულოს წევრის საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ფორმას 20-- წლის ---------- თვე

№	საკრებულოს წევრის გვარი, სახელი	საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები	გასაცემი თანხა
1.			
2.			
3			
4.			

საკრებულოს წევრი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შენიშვნა: ფორმის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

ქ. თბილისის საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ფორმა №4

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

წარმოგიდგენთ ქ. თბილისის საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ფორმას:

20 წლის ---------- თვე

№	საკრებულოს წევრის გვარი სახელი	სხდომებზე დასწრება			განსახილველ საკითხებში მონაწილეობა		გასაცემი თანხა
		სხდომათა რაოდენობა	დასწრების რაოდენობა	საბჭოს მიზნით გაცდენების რაოდენობა	უნდა შეესწავლა საკითხი	შეისწავლა საკითხი	
1.							
2.							
3.							
4.							
5.							

საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო

შენიშვნა: ნუსხის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ფორმა №5

ვამტკიცებ

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):

------ ---------- 20 წელი

№	საკრებულოს წევრის გვარი, სახელი	მისაღები თანხის ოდენობა						ხელმოწერა
		სხდომებზე დასწრების და საკითხების შესასწავლად გაწეული საქმიანობიდან	კომისიიდან	კომისიიდან	ფრაქციიდან	ფრაქციის წევრი	სულ	
1								
2								
3								
4								
5								

საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო